სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება

ხელშეკრულება №**107/496**

ქ. ახალციხე 27 დეკემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი (ქ. ნინოწმინდის, პუშკინის ქუჩა №43) წარმოდგენილი მერის ანივარდ მოსოიანის სახით შემდეგში წოდებული როგორც ,,შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსის **დათო ქოიავას** სახით შემდეგში ,,მიმწოდებელი" ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს **SMP190005055** შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშვალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1,1 ,დაცვა" შესაბამის მოკვლევის აქტის საფუძველზე, უზრუნველყოფს **2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დკემბრის ჩათვლით,** 1, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის (მის. ქ. ნინოწმინდა, თავისუფლების ქუჩ №43) 2. ნინოწმინდის სამხედრო აღრიცხის და გაწვევის სამსახურის (მის. ქ. ნინოწმინდა, თავისუფლების ქუჩა №37) 3. ნინოწმინდის საბავშო ბაღი წიწერნაკის (მის. ქ. ნინიწმინდა, თავისუფლების ქუჩა №37) და 4. ნინოწმინდის მუსიკალური სკოლის (მის. ქ. ნინოწმინდა, თავისუფლების ქუჩა №3) დაცვას **(CPV79713000);** 1.2 ,,ობიექტის" დაცვა განხორციელდება ,,დამკვეთის" მიერ ,,ობიექტის" დაცვის ცენტრალიზებულ პუნქტზე ჩაბარებისა და ,,დაცვის" მიერ ობიექტის დაცვაში აყვანის შემდეგ;

1.3 ,,ობიექტის" დაცვას განახორციელებს საქართველოს სინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს ახალქალაქის დპ განყოფილება 1 (ერთი) ინსპექტორისა და 4 (ოთხი) უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულის დაცვის რეჟიმით;

მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

2.1 დაცვის მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 60 420 (სამოცი ათას ოთხას ოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით;

2.2 ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დაცვის მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს 4600.00 (ოთხია თას ექვსასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით (მათ შორის ერთ ინსპექტორი -1000 ლარი, ერთი უმცროსი ინსპექტორი 900 ლარი);

2.3 ნინოწმინდის სამხედრო აღრიცხვის და სამსახურის დაცვის მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს **145** (ას ორმოცდახუთი) ლარი დღგ-ს ჩათვლით;

2.4 ნინოწმინდის საბავშო ბაღი წიწერნაკის დაცვას მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს **145** (ას ორმოცდახუთ) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

2.5 ნინოწმინდის მუსიკალური სკოლის დაცვის მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს **145** (ას ორმოცდახუთი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;
2.6 ანგარიშსწორება მხარეთა შორის მოხდება მიმწოდებელი მომსახურების შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;
2.7 დაცვის მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენას უზრუნველყოფს შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დაცვის-პოლიციის სამმართველო.

მუხლი 3. მხარეთ ვალდებულებები

3.1 ,,დაცვა“ ვალდებულია
3.1.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულების მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული 1600 (ათას ექვსასი) ლარამდე ღირებულების (დანართი №1) აპარატურის (მოწყობილობები) მონტაჟი-ინსტალაციის შემსყიდველის ობიექტზე;
3.1.2 ცენტრალიზებული დაცვის პულტზე განგაშის მიღებისას არაუგვიანეს 5 (ხუთი) წუთისა მოახდინოს ,,ობიექტზე“ გამოცხადება და ადგილზე მისვლის შემდეგ, უზრუნველყოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთა-აცილება;
3.1.3 ,,ობიექტზე“ მომხდარი სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ დაუყონებლივ აცნობოს ,,დამკვეთს“ და უზრუნველყოს შსს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეკრულება;
3.1.4 სიგნალ ,,განგაშის“ მიღებისას ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის დაცვაზე ასაყვანად-გამოიძახოს ,,შემსყიდველი“ ან ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი;
3.1.5 არ მიიღოს ,,ობიექტი“ დაცვაში, თუ არ შესრულდა მოკვლევის აქტით განსაზღვრული მოთხოვნები ან შეიქმნა ისეთი პირობები, რომლის გამოც ,,დაცვისგან“ დამოუკიდებელი მიზეზებით არ ხერხდება დაცვაში აყვანა, რაზედაც ,,დამკვეთს“ ეცნობება წინასწარ;
3.1.6 არ გაამჭღავნოს ,,შემსყიდველის“ სამსახურებრივი საიდუმლოება;
3.1.7 ობიექტის სპეციპიკიდან გამომდინარე განახორციელოს დაცვა ცეცხსასროლი, ხრახ ლულიანი იარაღით;
3.1.8 უზრუნველყოს დასაცავ ობიექტზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
3.1.9 უზრუნველყოს დასაცავ ობიექტზე დაწესებული სასაშვო რეჟიმის განხორციელება (თუ ასეთი არსებობს)
3.1.10 ,,პოლიციის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;
3.1.11 ,,მიმწოდებელი“ პასუხისმგებლობას კისრულობს ,,მიმწოდებლის“ მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი კომისიის მიერ;
3.1.12 ,,მიმწოდებელი“ პასუხისმგებლობას არ კისრულობს თუ:
3.1.13 შემსყიდველმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნები;
3.1.14 თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დატოვებულ იქნა დასაცავ ,,ობიექტში“;
3.2 **,,შემსყიდველი ვალდებულია“**

3.2.1 ,,ობიექტის“ დასაცავ მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს პასუხისმგებელი პირი (სანდო პირი) და გადასცეს მას სიგნალიზაციით სარგებლობის, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;
3.2.2 განგაშის შემთხვევაში ,,დაცვას“ მისცეს დასაცავი ,,ობიექტის“ გახსნისა და დათვალიერების საშვალება;
3.2.3 უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური სასვალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი;
3.2.4 სიგნალიზაციის გაუმართავლობის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს ამის შესახებ ,,დაცვას“ დაელოდოს ,,დავცის“ წარმომადგენლის გამოცხადებას და ნაკლოვანებების აღმოფქვრას;
3.2.5 ელექტროენერგიის ავარიული გამორთვის შემთხვევაში იქონიოს გამართულ მდგომარეობაში დასამუხტი და სარეზერვო მკვებავი საულაებები;
3.2.6 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1 პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს საქართველოს შსს სამინისტროს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკუთრებას და დაცვის მიერ საკუთარი ხარჯებით არის დამონტაჭებული ,,დამკვეთის“ ობიექტზე) განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი განსაზრრული დანართი №1-ით მითითებული ღირებულების შესაბამისად;
3.2.7 უზრუნველყოს მოკვლევის აქტით განსაზღრული მოთხოვნების შესრულება;
3.2.8 არ დაუშვას ,,დაცვის“ მიერ დამინტაჭებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვა არ აგებს პასუხს დამკვეთის თვითნებურ მოქმედებით გამოწვეულ გაუმართაობაზე (შეფერხებაზე) და დამკვეთისათის მიყენებულ ზარალზე;
3.2.9 რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს ,,დაცვას“;
3.2.10 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაშ დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემიოს მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის ,,ბ“ პუნქტით განსაზღრული მოწყობილობების შემოწმებისა და დემონტჟაის მიზნით, ვალდებულია უზრუნველყოს დაცვის წარმომადგენლების დაშვება ობიექტზე;
3.2.11 განახორციელოს პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება და ,,მიმწოდებელთან“ ერთად იზრუნოს ,,ობიექტის“ დაცვის სრულყოფისათვის;
3.2.12 ,,მიმწოდებელს“ 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს ,,ობიექტზე“ მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება , რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: (,,ობიექტის“ დაცვით სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოება და ა.შ);
3.2.13 ,,მიმწოდებლის“ თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს ,,მიმწოდებელს“;
3.2.14 გააცნოს ,,მიმწოდებლის“ მუშაკებს დასაცავ ობიექტზე არსებული ტექნიკური უასფრთხოების წესები;
3.2.15 ,,შემსყიდველს“ ეკრძალება დამატებითი ხელსეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტის დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღრულით მოკვლევის აქტით;

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულრბით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობათა შესრულება და რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ;

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
5.2 დაცვის მომსახურება განხორციელდება 2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. ხელშეკრულების სხვა პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დანართი №1, მხარეთა მიერ შედგენილი დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მინტაჟ-ინსტალაციის სამუშაოების მიღებაჩაბარების აქტი და მხარეთა შორის გაფორმებული ,,ობიექტის“ მოკვლევის აქტი.
6.2 ,,დაცვა“ უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება დაცვით მომსახურების ,,ტარიფის“ გაზრდის ან შემცირების შესახებ, რომელიც ორი კვირით ადრე წერილობით უნდა ეცნობოს ,,დამკვეთს“, თუკი აღნიშნული ვადის გასვლამდე ,,დაცვამ“ არ მიიღო შეტყობინება ,,დამკვეთისგან“ იმის შესახებ, რომ იგი არ ეთანხმება ცვლილებას, ითვლება, რომ მხარე იღებს ახალ პირობას;
6.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაერთჯერეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რის შესახებ ვალდებულნი არიან 10 (ათი) დღით ადრე წერილობით აცნობონ ერთმანეთს;
6.4 დაცვა უფლებამოსილია ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მინტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტი ,,ბ“ ბუნქტით განსაზღრული მოწყობილობების შემოწმება და დემონტაჟი;
6.5 დაცვით-საგანგაში სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის ,,ბ´ ბუნქტით განსაზღრული მოწყობილობები წარმოადგენს დაცვის საკუთრებას;
6.6 სადაო საკითხებს მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობის შესაბამისად;
6.7 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთ წერილობით შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენის ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს;
6.8 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ,,შემსყიდველთან“ და ერთი ,,დამკვეთთან“;

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობა; **ს/კ 236689669,** იურიდიული მისამართი: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქუჩა №43; სს ,,ლიბერთი ბანკი“ **კოდი LBRTG22, ა/ა GE51LB0120146252122000,**

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერი

Anivard Mosoyan

Digitally signed by Anivard Mosoyan
Date: 2019.12.27 12:39:54 +04'00'

ანივარდ მოსოიან

„დაცვა“

სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო; ს/კ 211350928 ქ. ახალციხე პ. ნათენაძის ქუჩა №35, მიმღების საბანკო-სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 707117044, ტელ:0(365)22-17-65 მობ: 577 52 46 56

სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დაცვის
პოლიციის სამმართველოს უფროსი

Dato Koiava

Digitally signed by Dato Koiava
DN: cn=Dato Koiava, serialNumber=35001055365, o=Citizen, c=GE
Date: 2019.12.27 11:09:27 +04'00'

დათო ქოიავა

დანართი 1

თან ერთვის N107/496 27.12.2019 წ ხელშეკრულებას

დროებით სარგებლობაში არსებული აპარატურა
ნინოწმინდის მუსიკალური სკოლის ხარჯთაღრიცხვა
მდებარე ქ. ნინოწმინდა, თავისუფლების შესახვევი. ქუჩა N3

N	მასალის დასახელება (კოდი)	რაოდენობა	ერთეული	ერთ. ფასი	ფასი (ლარი)
1	მოძრაობის დეტექტორი (კოდი)8533	20	ცალი	12.29	245.8
2	პანელი (კოდი) 8536 შტრიხ კოდი 90042856	1	ცალი	196.89	196.89
3	მსხვრევის დეტექტორი (კოდი) 9212 შტრიხ კოდი 90044625, 90044618, 90044597, 90044603, 90044595 90044604	6	ცალი	23.73	142.38
4	რადიო გადამცემი (კოდი) 8986 შტრიხ კოდი 90042835 რადიო გადამცემის პლატა #124859, რადიო გადამცემის ყუთი #124859,	1	ცალი	718.22	718.22
სულ:					**1303.29**
დღგ 18%					**234.59**
თანხა სულ (დღგ-ს ჩათვლით)					**1537.88**

ნინოწმინდის ხაბავშო ბაღი "წიწერნაკი"-ს ხარჯთაღრიცხვა
მდებარე ქ. ნინოწმინდა, თავისუფლების ქუჩა N37

N	მასალის დასახელება (კოდი)	რაოდენობა	ერთეული	ერთ. ფასი	ფასი (ლარი)
1	საკონტროლო პანელი კლავიატურა VISTA-10P (კოდი) 06/410/56	1	ცალი	255.65	255.65
2	მოძრაობის დეტექტორი (კოდი) 06/410/59	4	ცალი	30.24	120.96
3	სირენა (კოდი) 1275	1	ცალი	4.57	4.57
4	მსხვრევის დეტექტორი (კოდი) 06/410/58	4	ცალი	64.79	259.16
5	4 რადიო გადამცემი (კოდი) 06/410/87 რადიო გადამცემის #12081286, რადიო გადამცემის პლატა #95906, რადიო გადამცემის ყუთი #95906	1	ცალი	478.94	478.94
1					**1119.28**
დღგ 18%					**201.47**
თანხა სულ (დღგ-ს ჩათვლით)					**1320.75**

ნინოწმინდის სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის ხარჯთაღრიცხვა
მდებარე ქ. ნინოწმინდა, თავისუფლების ქუჩა N37

N	მასალის დასახელება (კოდი)	რაოდენობა	ერთეული	ერთ. ფასი	ფასი (ლარი)
1	4 ზონიანი რადი გადამცემი (კოდი) 06/410/013	1	ცალი	538.17	538.17
2	საკონტროლო პანელი კომპლეკტი (კოდი) 5013 შტრიხ კოდი 90011420	1	ცალი	177.97	177.97
3	მოძრაობის დეტექტორი (კოდი) 4237 შტრიხ კოდი 90011074, 90011083, 90011093, 90011098, 90011099, 90011106, 90011107, 90011109, 90011119, 90011120,	10	ცალი	25.43	254.3

4	მინის მსხვრევის დეტექტორი (კოდი) 4284 შტრიხ კოდი 90011298, 90011305, 90011310, 90011317, 90011334, 90011341, 90011345, 90011346, 90011353, 90011354,	10	ცალი	32.82	328.2
სულ:					**1298.64**
დღგ 18%					**233.76**
თანხა სულ (დღგ-ს ჩათვლით)					**1532.4**

"დამკვეთი"

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის
მერი

ანივარდ მოსოიან

"შემსრულებელი"

სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დპ
სამმართველოს უფროსი

დათო ქოიავა

Dato Koiava

Digitally signed by
Dato Koiava
DN: cn=Dato Koiava,
serialNumber=35001
055365, o=Citizen,
c=GE
Date: 2019.12.27
11:08:55 +04'00'